დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ჩივაძე

წევრები:

- თამთა დარსაველიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246998628

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი აჭყვისთავი
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი აჭყვისთავი
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	achkvistavi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 26 0000174776, 17/02/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 25 და 26 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჭყვისთავი (ერთი შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჭყვისთავი (ერთი შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჭყვისთავი (ერთი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2026 წლის 25 და 26 მარტს სსიპ - ქობულეთს მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გაცნობის მიზნით, გადაეგზავნა სკოლას. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს ადგილზე ვიზიტი, ხოლო საგნობრივი ექსპერტები კი პროცესში დისტანციურად, Teams პლატფორმის გამოყენებით ჩაერთნენ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე და ინტერვიუების გზით. საგნობრივმა ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს ცალკეული დისციპლინების სწავლების პრაქტიკა და მუშაობის სპეციფიკა. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო დაწყებითი კლასების სასწავლო მიმართულებებთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტება. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეამოწმა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. სამუშაო პროცესის დასრულებისას, ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გააცნეს ინფორმაცია ვიზიტის დროს გამოვლენილი შედეგების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
		200 (ორასი)

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **200 (ორასი)**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ, საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების შესაბამისად, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა** უნდა უზრუნველყოს ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობების წარდგენა ყველა იმ დასაქმებული პირის მიერ, რომელთაც აღნიშნული დოკუმენტები არ აქვთ წარდგენილი.*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა,** უზრუნველყოს სპეციალური მასწავლებლის დასაქმება (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა,** უზუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმება.* *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის აპრილისა,** უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.* *სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა,** შენობის პირველ სართულზე (შიდა სივრცე) და შენობის გარე პერიმეტრზე უზრუნველყოს დამატებითი უსაფრთხოების კამერების დამონტაჟება, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.*

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა,** უზრუნველყოს არასამუშაო (მათ შორის ღამის) საათებში შენობის დაცვის ორგანიზება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.*
ინდიკატორი N 3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა,** ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებისთვის გამოყოს დაცული, იზოლირებული ადგილი;*
ინდიკატორი N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათ-ლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის აპრილისა,** უზრუნველყოს შენობის განახლებული აზომვითი ნახაზის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.* *სკოლამ, არაუგვიანეს **2027 წლის აპრილისა,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვოს ხელსაბანით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდით და საგნობრივი სასწავლო-ლაბორატორიული რესურსით.*
ინდიკატორი N 3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ, არაუგვიანეს **2028 წლის აპრილისა,** უზრუნველყოს სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტის ან პანდუსის მოწყობა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სასურველია, სკოლამ იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის შტატის დამატებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე.*
ინდიკატორი N 3.3.1.2.	*იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების ფორმულირების საერთო წესი, ყველა დოკუმენტისთვის.*
ინდიკატორი N 3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.*	*სკოლას მიეცა რჩევა, შინაგანაწესში უზრუნველყოს ტერმინოლოგიის სიზუსტე და მანდატურის ნაცვლად გამოიყენოს უფლებამოსილი პირი.*
ინდიკატორი N 3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სასურველია, სკოლამ საქმისწარმოების წესში შეიტანოს მითითება, რომ კოლეგიური ორგანოების ოქმები ინომრება კალენდარული წლის ფარგლებში.*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.3.2.	*სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს*	*სასურველია სკოლას ინდ. გეგმებისთვის შემუშავებული ჰქონდეს ერთიანი ჩარჩო სადაც გამოჩნდება: რა იცის მოსწავლემ, რა უნდა იცოდეს სასწავლო წლის ბოლოს, რა თემებს გაივლის ამ მიზნის მისაღწევად, რა აქტივობებს გამოიყენებს პედაგოგი, რა რესურსს და როგორ შეაფასებს მოსწავლეს. ასევე სემესტრულად ინდ. გეგმის მონიტორინგი. ეს ერთის მხრივ გაადვილებს დოკუმენტის აღქმას და მეორეს მხრის ყველა დაინტერესებულ პირს ნათლად დაანახებს დასახული მიზნის, შერჩეული სტრატეგიის, შემუშავებული აქტივობისა და გამოყენებული რესურსის ურთიერთკავშირს.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1 *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ესთეტიკური აღზრდა*	*საჭიროა კორექციის შეტანა ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. სასურველია, დაზუსტდეს თუ რა ქვეცნებებს ამუშავებს პედაგოგი თემის ფარგლებში. მესამე კლასის ხელოვნების კურიკულუმში არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკები. მოკლედ, რჩევის სახით, ზუსტად უნდა იყოს დაცული კორელაცია თემატურ ბლოკს, თემებს, არჩეულ დავალებას შორის. გამოკვეთილად ჩანდეს რა ცნებები და ქვეცნებები მუშავდება კონკრეტული დავალების ფარგლებში. იგივე ეხება ამავე საგნის საბაზო საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმებს. (ეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს)*
	მათემატიკა	*საგნობრივ კურიკულუმების თავფურცელი (ქუდი) შეიცავდეს ინფორმაციას საგნობივი კურიკულუმის შესახებ: კურიკულუმის სახელწოდება, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.*

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.
ინდიკატორი N 2.1.2.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასურველია რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის შედგენის დროს მასწავლებლებმა გაითვალისწინონ და გაწერონ თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, განსხვავებული ფორმულირების გარეშე.
	საზოგადოებრივი მეცნიერებები	საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმში, მე-11 და მე-12 კლასებში ისტორიის კურიკულუმში აისახოს ცნება წყარო. ასევე დაწყებითი საფეხურის ჩვენი საქართველოს კურიკულუმის რევიზიიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა: V-VI კლასების კურიკულუმის შედგენის დროს რეგიონალურ თემატურ ერთეულებში ჩამოწერილი შინაარსობრივი საკითხები გაერთიანდეს და დაჯგუფდეს ქვეთემებად ამასთანავე ზოგადად ყველა საფეხურის კურიკულუმის შემთხვევაში კონტექსტ მაგალითი ამოიცვალოს/დაიხვეწოს.
	მათემატიკა	კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილ იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა.
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო თემები დააზუსტონ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასურველია, სკოლაში ლაბორატორიული რესურსებით მომარაგების შემდეგ, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (ბუნებისმეტყველება) და საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში გაწერილი იყოს სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდები საჭირო რესურსებით.
	საზოგადოებრივი მეცნიერებები	დავალებებში შინაარსობრივი ნაწილის შემოწმება ცნებათა გააზრების კონტექსტში იყოს წარმოდგენილი.

უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*	*კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება.*
ინდიკატორი N 2.1.2.4. *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია დიფერენცირებული მიდგომები აისახოს კომპლექსური დავალების ფორმებში და შეფასების რუბრიკებში.*
ინდიკატორი N 2.1.2.5 *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*ესთეტიკური აღზრდა*	*სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის (დაწყებითი) ცნებებსა და ქვეცნებებზე.* *(ეხება მუსიკისა დახელოვნების კურიკულუმებს).*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსებულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.*
ინდიკატორი N 2.2.1.1. *სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აქტივობები, როგორიცაა ინტეგრირებული პროექტები და რეალური ექსპერიმენტების ჩატარება.*
ინდიკატორი N 2.2.1.3.	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია, სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების კრიტერიუმების მკაფიო ფორმულირება*

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი		*დავალებასთან მიმართებაში, რაც გააძლიერებს შეფასების ობიექტურობას და გამჭვირვალობას.*
	საზოგადოებრივი მეცნიერებები	*მოსწავლის ნაშრომის ანალიზის დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს არა მარტო მისაღწევი შედეგები, არამედ მოსწავლის მიერ დაძლეული და დასაძლევი შედეგები მიღწეული შედეგის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებს რეკომენდაციის სახით ურჩიონ ისეთი კონკრეტული აქტივობების შესრულება, რომლითაც უკეთ გაიაზრებენ ხარვეზებს/ვერ შესრულებულ შედეგებს და შესძლებენ მათ გამოსწორებას.*
ინდიკატორი N 2.2.2.1 კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*დაწყებითი საფეხური- კომპიუტერული ტექნოლოგიები*	*სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები ტექნოლოგიებში, თუმცა მოსწავლეებში გამჭოლი და ინტერდისციპლინარული უნარების განსავითარებლად სასურველი იქნება სკოლაში ფუნქციონირებდეს STEAM კლუბი, რაც რჩევის სახით ეცნობა სკოლას.*
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ საკითხის შესაბამისად.*
ინდიკატორი N 2.2.2.3. კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველ-ყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული აოდენობის გათვალისწინებით	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*	*სასურველია სკოლამ უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის ლაბორატორიული რესურსი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისთვის, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (სულ 200 მოსწავლე). წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლაში ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის მხოლოდ ფართი ინვენტარის გარეშე. თუმცა, სკოლას აქვს წერილობითი მიმართვა შესაბამის სტრუქტურებთან, ლაბორატორიის შესაძენად თანხების გამოყოფაზე. გათვალისწინებულია, რომ სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი და არ გააჩნია ფინანსური სახსრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაძენად.*
	ესთეტიკური აღზრდა	*სასურველია, მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართოს ვიდეო და აუდიო მასალები, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის და მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ:
პირველ სტანდარტში, ინდიკატორი N 1.2.1.2. ჩაითვალა დასრულებულად. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა სამეურვეო საბჭოს ოქმი (20.04.2026) და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც 2026-2033 წწ. განხორციელდება; სკოლამ ასევე წარმოადგინა, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული (20.04.2026) 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ინდიკატორი N 1.2.1.3 ჩაითვალა დასრულებულად. პირველი სტანდარტი არის შესაბამისობაში.
მესამე სტანდარტში, ინდიკატორ N 3.1.2.3.-თან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა შესწორებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (20.04.2026). თანამშრომელთა სავალდებულო ცნობები სრულად წარმოდგენილი იქნება არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა. აღნიშნული ინდიკატორი განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; ინდიკატორ N 3.1.2.4 მოთხოვნები შესრულებული იქნება არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა და ის განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა „დისციპლინური კომიტეტის დებულება“, რომელშიც დირექტორის ბრძანებით (N 01-03/24; 26.04.2026) შევიდა ცვლილება. ინდიკატორი N 3.3.1.3 ჩაითვალა დასრულებულად; სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (N 01-03/11; 24.04.2026) რომლის მიხედვით უსაფრთხოების კამერებზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა უფლებამოსილი პირი. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებისთვის კი სკოლა იზოლირებულ სივრცეს გამოყოფს არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბრისა, ამიტომ ინდიკატორი N 3.4.1.6. განისაზღვრა მეტწილ შესაბამისობაში; ინდიკატორების - N 3.4.1.1 და N 3.5.1.1. დასრულება მოხდება არაუგვიანეს 2027 წლის აპრილისა ამიტომ ისინიც მეტწილ შესაბამისობაშია; ინდიკატორი N 3.5.1.4. მოთხოვნების შესრულებას სკოლა უზრუნველყოფს არაუგვიანეს 2028 წლის აპრილისა, აღნიშნული ინდიკატორი არის ნაწილობრივ შესაბამისობაში. მესამე სტანდარტი არის ნაწილობრივ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შესაბამისობაში მოდის ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისია არის, ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებით, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღზარდოს კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები. წარმოდგენილი მომავლის ხედვის მიხედვით, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მიაღწევს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზეც, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მიზნის მიღწევის პროცესში, სკოლა თავის საქმიანობას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებზე: თანამშრომლობა, გუნდურობა, გამჭვირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიაში დეკლარირებულია ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს მნიშვნელობა, რაც ადასტურებს, სკოლის, როგორც დაცული სივრცის როლს სასკოლო საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, მისია ხაზს უსვამს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნაზე, არამედ პიროვნების ფორმირებაზე, რადგან დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეების აღზრდა; ეს მოქალაქეები

აღჭურვილი უნდა იყვნენ ეპოქის შესაბამისი კომპეტენციებით და გლობალურ - ფუნქციური უნარებით, რაც პიროვნული ზრდისა და თვითრეალიზაციის საფუძველია. სკოლის მიერ განსაზღვრული ღირებულებები, როგორიცაა თანამშრომლობა, გუნდურობა, დემოკრატია, განვითარება ის სოციალური კომპეტენციებია, რომლებიც პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ შემუშავებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებით და მხედველობაში მიიღება ჩატარებული კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგები. მეთოდოლოგიით განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა მრავალფეროვანია და ითვალისწინებს სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, პედაგოგიური კოლექტივის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა წარმომადგენლების ჩართულობას. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს, სკოლის ფილოსოფიის პროექტების გაცნობას სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში, დირექტორის მ/შ ბრძანებით (2025 წლის დეკემბერი), ჩამოყალიბებული არის სამუშაო ჯგუფი, „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით“, რომელიც ორგანიზებას უწევდა სკოლის ფილოსოფიის (აღნიშნულ შემთხვევაში მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების პროცესს.

ინდიკატორი 1.1.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

„მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ ხაზს უსვამს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის აუცილებლობას; აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა ხდება თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯგუფურ ფორმატში მუშაობით და დაინტერსებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. მეთოდოლოგია განსაზღვრავს ინფორმაციის გაზიარების საკომუნიკაციო არხებს (ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები, ბეჭდვითი მასალები და სხვა), მიზნობრივ ჯგუფებს, გაზიარების რეკომენდებულ

მექანიზმებს. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. გარდა ამისა, მისია, ხედვა და ღირებულებები შეტანილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში და ხელმისაწვდომია მიზნობრივი ჯგუფებისთვის. ასევე, სკოლის მისია და ხედვა განთავსებული არის სკოლის ვებგვერდზე (skolebi.emis.ge). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მისიის ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი უზრუნველყოფდა მისიის ხედვისა და ღირებულებების პროექტების გაცნობას სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა იყენებს, როგორც ციფრულ, ასევე ფიზიკურ საკომუნიკაციო არხებს, რაც გულისხმობს მიზნობრივი ჯგუფებისთვის ინფორმაციის გაზიარებას ელექტრონული გზით, ღია შეხვედრების, საჯარო განხილვების ორგანიზებას და ა.შ. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვალსაჩინოდ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების დერეფანში, ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე (skolebi.emis.ge).

ინდიკატორი 1.1.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების №2 დანართის შესაბამისად; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდებას - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისია, ხედვა , ღირებულებები*
- *დირექტორის მ/შ გრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (2025 წ. დეკემბერი)*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი, 2025 -2026 სასწავლო წელი.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.*
- *სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N1, N2 (2025 წლის დეკემბერი)*
- სკოლების პორტალი (skolebi.emis.ge).
- *საჯარო რეესტრის ამონაწერი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს „მისიის ხედვის, ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია კონკრეტული მექანიზმები, რომლის საშულებითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება და გათვალისწინება. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინებს, დაგეგმვის ყოველი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს ჩართულ მხარეებს, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას და მათთვის საჭირო დოკუმენტების გაზიარებას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი წარიმართება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიან არაა მხოლოდ დირექციის წარმომადგენლები, არამედ პედაგოგები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები და მშობლები. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა მხარის ინტერესი იქნას გათვალისწინებული. მეთოდოლოგიის მიხედვით , სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების შემდეგ ხდება მათ გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის, სკოლა ვალდებულია განიხილოს და გაითვალისწინოს მიღებული უკუკავშირი. მეთოდოლოგია განსაზღვრავს ინფორმაციის გაზიარების არხებს, და მეთოდოლოგიას (მაგალითად SWOT ანალიზი), რომლის გამოყენებითაც სკოლა უზრუნველყოფს შიდა და გარე ფაქტორების გაანალიზებას და მათ შედეგებს იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით (დამტკიცებული 2026 წლის მარტში), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭო.

ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2025 -2032 წლებს. გეგმა შედგება შვიდი მსხვილი მიზნისაგან და ითვალისწინებს ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს. გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. გეგმა დაფუძნებული არის SWOT ანალიზზე, სადაც გაანალიზებულია სკოლის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული გეგმა ეხმიანება სკოლის მისიისა და ხედვის განაცხადებში დეკლარირებულ მიზნებს და უზრუნველყოფს მათ რეალიზებას. წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში ჩანს შესაბამისობა სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, მაგალითად მოსწავლეზე

ორიენტირებული პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობა, ფორმალური და არაფორმალური განათლების შერწყმა, ეპოქის შესაბამისი კომპეტენციები და ინოვაციური სწავლება, მიღწევადია იმ მიზნებით და მიზნის შესაბამისი ამოცანებით, რომელიც შვიდწლიან გეგმაში არის განცხადებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული ხედვა და ღირებულებები განსხვავდება სკოლის მიერ შემუშავებული კონცეფციისგან (გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ გვერდზე). გარდა ამისა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა 2026 წლის 4 მარტს. შესაბამისად გრძელვადიანი გეგმის მოქმედების დაწყების პერიოდი (2025 წ.) წინ უსწრებს დოკუმენტის დამტკიცების დროს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი არ არის თანმიმდევრული.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, *სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა, 2026-2033 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (20.04.2026), რომელიც ითვალისწინებს მისიას, ხედვას და ღირებულებებს.*

ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების რეალიზების ძირითად საშუალებას. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, გეგმის შედგენა ხდება ერთწლიანი ვადით და მისი მოქმედების დრო ემთხვევა სასწავლო წლის მიმდინარეობას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან და ითვალისწინებს სკოლის თვითშეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოებისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, სამოქმედო გეგმა ექვემდებარება ცვლილებებს. 2025 -2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია შემდეგი მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მიზნის შესაბამისი ამოცანები. აღსანიშნავია, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა 2026 წლის 4 მარტს. შესაბამისად გეგმის მოქმედების დაწყების პერიოდი (2025 წ. სექტემბერი) წინ უსწრებს დოკუმენტის დამტკიცების დროს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი არ არის თანმიმდევრული.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, *სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა, 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (20.04.2026), რომელიც დაფუძნებულია სტრატეგიულ გეგმაზე.*

ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები/ მტკიცებულება, რესურსები. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები მიღწევადია. მთავარი ორიენტირია გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი მიზნები, რომელთა მიღწევა უნდა მოხდეს ამოცანების საშუალებით. თითოეული ამოცანისთვის გაწერილია ნაბიჯები კონკრეტული აქტივობების სახით, ხოლო კონკრეტული მტკიცებულებები (მაგალითად საგნობრივი კათედრის ოქმები, ხელშეკრულებები...) განკუთვნილია შესრულების პროცესის შეფასების მიზნით. პროცესის შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები, გათვალისწინებულია ადამიანური და მატერიალური რესურსები.

ინდიკატორი 1.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, 2025 - 2032 წწ.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, 2026 წლის 4 მარტი.*
- *სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N1, N2 (2025 წლის დეკემბერი)*
- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, 2025 -2026 წწ.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული არის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის ერთერთ მნიშვნელოვან ეტაპს . სკოლა სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში ახორციელებს, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი კი ხორციელდება ასევე ორჯერ, მოქმედების პერიოდის შუაში და ბოლოში. დოკუმენტი სკოლას თავაზობს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ორ ალტერნატიულ გზას: 1. გაზიარებული დრაივისა და ფაილების გამოყენება 2. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ წერილობითი ანგარიშების და მტკიცებულებების წარმოდგენა. შეფასება გულისხმობს შეგროვილი მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროებების განსაზღვრას. შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას მიღწევების და გამოწვევების შესახებ.
ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რომელიც სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით ხორციელდება. როგორც აღნიშნული იყო, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საჭიროებისამებრ სკოლა ატარებს არაგეგმიური მონიტორინგს. პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გემის მონიტორინგი ასევე ხორციელდება ორჯერ. დოკუმენტი მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმის ცვლილება შესაძლებელი არის სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლა გამოხატავს მზაობას, „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეაფასება;

ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა. დაწესებულება ვალდებულია, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით მოამზადოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეკრულების ანგარიში. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გადაეცემა სამუშაო ჯგუფს გასაანალიზებლად ის მოამზადებს შუალედურ ანგარიშს. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/ სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება საბოლოო ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცებული ანგარიშები განთავსდება სკოლის ვებგვერდზე ან გამოყენებულ იქნება მეთოდოლოგიით დადგენილი სხვა საკომუნიკაციო არხები. დაწესებულება გამოხატავს მზაობას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში.

ინდიკატორი 1.2.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგები სკოლას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული პრობლემების და გამოწვევების შესახებ; მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შედეგად შესაძლოა გამოიკვეთოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. სტრატეგიული გეგმების ცვლილების მიზეზი შეიძლება გახდეს მონიტორინგის შედეგები, რომელიც აჩვენებს რომ მიზნის მიღწევა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია ან აღარ არის რელევანტური. სამოქმედო გეგმები, ასევე, შეიძლება შეიცვალოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე. მეთოდოლოგია ხაზს უსვამს, რომ სტრატეგიულ დაგეგმვას კავშირი აქვს ყველა ძირითად და დამხმარე პროცესთან, რომელიც სკოლაში მიმდინარეობს. სტრატეგიული მიზნები და მათი განხორციელების შედეგები კი პირდაპირი მიემართება აღნიშნული პროცესების გაუმჯობესებასა და განვითარებას. სტრატეგიული გეგმა და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასება წარმოადგენს ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნის საფუძველს. შეფასების

შედეგების მიხედვით სკოლის ადმინისტრაცია აფასებს დაგეგმვის პროცესის ეფექტურობას, აქ არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს, იყენებს მათ დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, 2025 -2032 წწ.*
- *სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N1, N2 (2025 წლის დეკემბერი)*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, 2025 -2026 წწ.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის საშტატო განრიგის და სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) მონაცემებით, დაწესებულებაში განსაზღვრულია შემდეგი საშტატო ერთეულები: დირექცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი; ადმინისტრაცია: საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი; მასწავლებელი (23); ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი: ექთანი, დარაჯი, სსსმ პირის ასისტენტი, დამლაგებელი (2), ცეცხლფარეში. სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, არსებობს პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლას არ აქვს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის შტატი და მის ფუნქციებს ითავსებს დირექტორი. მხარეთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია დასაქმებულებსა და დირექციას შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დამტკიცებული აქვს „სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“, რომელიც აღწერს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება - მოვალეობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრუქტურა შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, კოლეგიური სამუშაო ჯგუფებისა და თანამდებობრივი პოზიციებისაგან; სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო; მითითებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები და დებულებები, რომლებიც არეგულირებენ სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებასა და საქმიანობას. დოკუმენტში დეტალურად არის განხილული სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები, მათი უფლება-მოვალეობები და მათ მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღსანიშნავია რომ დოკუმენტი წარმოადგენს ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს და აღწერს არა მხოლოდ საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციებს, არამედ თეორიულად საჭირო თანამდებობრივ პოზიციებს, რომლებიც ამჟამად ათვისებული არ არის.

რჩევა: სასურველია, სკოლამ იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის შტატის დამატებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე.

ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში დასაქმებული პირების და არსებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების გამიჯვნა და მათ შორის უფლებამოსილებათა გადანაწილება უზრუნველყოფს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მაგალითად, სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომლის საქმიანობაში მონაწილეობს პედაგოგიური კოლექტივის ყველა წევრი, და ხელმძღვანელობს არჩეული თავმჯდომარე. პედსაბჭო განიხილავს და ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, მსჯელობს სამოქმედო

გეგმის შესრულების შედეგებზე და სხვ. სკოლის სამეურვეო საბჭოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ირჩევენ წევრებს პედაგოგებიდან, მშობლებიდან და მოსწავლეთა თვითმმართველობიდან; დირექცია სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის ანგარიშს, ბიუჯეტის პროექტს და ა. შ. დაწესებულება ზრუნავს სასკოლო საზოგადოების, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობაზე კურიკულუმების შემუშავების პროცესში. დაწესებულებას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც წარმოდგენილია დირექციის, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვ. დაწესებულება დაინტერესებულია სასკოლო სივრცეში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებით.

ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა*
- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები, 2025-2026 სასწ.წ.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები, 2025-2026 სასწ.წ.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ორგანოგრამა*
- *ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების და ხელშეკრულებების შესაბამისად. დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, კერძოდ, ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, ინფორმაციას სამუშაო ადგილის, სამუშაო დროის, დასვენების დროის შესახებ, შრომის ანაზღაურების ოდენობას და გადახდის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, მხარეთა პასუხიმგებლობის წესებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საკითხებს და სხვ. სკოლას აქვს შინაგანაწესი, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელშიც განსაზღვრული არის სამუშაო კვირის ხანგრძლივობისა და აღრიცხვის, შვებულების, შრომის ანაზღაურების გაცემის, შრომის პირობების დაცვის, დასაქმებულის და მოსწავლის წახალისების, დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის და სხვა საკითხები. გარდა ამისა დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც აცხადებს დაწესებულების პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებაში და ეფუძნება დაწესებულების მისიას, ღირებულებებს და მიზნებს. დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც ოთხ მიმართულებას აერთიანებს: ორგანიზება/ დაგეგმვას, ორგანიზაციაში შემოსვლას, სამუშაო მართვას და ორგანიზაციიდან გასვლას. მასში ასახულია სამუშაოს აღწერილობები, ახალი კადრების მოზიდვის და შერჩევის, თანამშრომელთა სოციალიზაციის, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის და სხვა საკითხები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით, შინაგანაწესი ითვლება მათ განუყოფელ ნაწილად და დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი 3.1.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმები ჩანს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში: სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მიხედვით განსაზღვრულია სკოლაში კონკურსის გამოცხადების საფუძვლები. სკოლა უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი იმ თანამდებობებზე, რომლებიც არ ჯერ არ არის ვაკანტური, მაგრამ დადასტურებული საფუძველი არსებობს, რომ მალე გათავისუფლდება. მასწავლებელი ვალდებულია, სკოლას 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს, თანამდებობის დატოვების შესახებ, რათა ადმინისტრაციის ჰქონდეს დრო ახალი კადრის მოსაძიებლად. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სწრაფი ჩანაცვლების მექანიზმი, როდესაც აუცილებლობის შემთხვევაში კონკურსის გარეშე ხდება მოწვეული ან შემცვლელი მასწავლებლის დასაქმება. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, სკოლა სისტემატიურად უნდა აფასებდეს პერსონალს, რაც საშუალებას იძლევა დროულად გამოიკვეთოს გასაუმჯობესებელი მიმართულებები და თავიდან იქნას აცილებული არაკვალიფიციურობით გამოწვეული პრობლემები. შინაგანაწესის მიხედვით, წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის, დაგვიანების, სამსახურის დატოვების ან სხვა გადაუდებელი აუცილებლობის გამო დასაქმებული ვალდებულია

გააფრთხილოს პასუხისმგებელი პირი, რათა ადმინისტრაციამ, შეძლოს პრევენციული ზომების გატარება სამუშაო პროცესის შეფერხების თავიდან არიდების მიზნით.

ინდიკატორი 3.1.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში განსაზღვრული კადრების მოზიდვისა და დასაქმების საკითხი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ახალი კადრების შერჩევის დროს სკოლა ხელმძღვანელობს გამჭვირვალეობის და ობიექტურობის პრინციპის დაცვით; პირი, პედაგოგის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ღია კონკურსში მონაწილეობს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, ხოლო შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს. განცხადება კონკურსის შესახებ უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, დასაქმების ვებგვერდზე teachersjobs.ge. მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნებისმიერი ვაკანტური პოზიციისთვის, რომელიც არ არის პედაგოგის, სკოლა განსაზღვრავს სამუშაო აღწერილობას, რომელიც მოიცავს ფუნქციებსა და დავალებებს, რომელიც პირმა უნდა შეასრულოს, კონკრეტულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სამუშაო პირობებსა და ანგარიშვალდებულებებს; ღია კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში და სხვა. შერჩევის პროცესი უნდა იყოს თანმიმდევრული, მკაფიო და გამჭვირვალე. შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული პოზიციისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ მოცემულია სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც არ მოდის სრულ შესაბამისობაში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით სპეციალური მასწავლებლისთვის დადგენილ პროფესიულ სტანდარტებთან.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასაქმების შეზღუდვის რეგულაციები და შინაგანაწესი სკოლაში დასაქმებულ პირებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინონ სავალდებულო ცნობები (საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად). სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომელთა პირად

საქმეებში არ ინახებოდა 17 ცნობა ნასამართლობის შესახებ, 12 ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და 9 ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით:

სკოლის სამეურვეო საბჭომ უზრუნველყო „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტში საჭირო ცვლილების შეტანა (20.04.2026); დასაქმებულთა ნაწილმა წარმოადგინა ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის ***ცნობები*** *(12 ცნობა ნასამართლობის შესახებ, 8 ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, 6 ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ).*

დაწესებულება, საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების შესაბამისად, არაუგვიანეს ***2026 წლის სექტემბრისა,*** *უზრუნველყოფს ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობების წარდგენას ყველა იმ დასაქმებული პირის მიერ, რომელთაც აღნიშნული დოკუმენტები არ აქვთ წარდგენილი.*

ინდიკატორი 3.1.2.3. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

საშტატო ნუსხის, შრომითი ხელშეკრულებების და ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, სკოლის დირექცია წარმოდგენილია დირექტორით, დირექტორის მოადგილით და ბუღალტერით, ადმინისტრაცია - ბიბლიოთეკარით და საქმისმწარმოებლით; სკოლაში დასაქმებულია ოცდაორი პედაგოგი, მათ შორის თვრამეტი - უფროსი, სამი - წამყვანი, ერთი - მასწავლებლობის მაძიებელი; სკოლას ემსახურება ერთი ექთანი, ერთი სსსმ პირის ასისტენტი, ორი დამლაგებელი, ერთი დარაჯი და ერთი ცეცხლფარეში. სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის *მიხედვით სკოლა, არაუგვიანეს* ***2026 წლის სექტემბრისა****, უზრუნველყოფს სპეციალური მასწავლებლის დასაქმებას.*

ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და დაწესებულების საქმიანობის ამსახველი მასალები ადასტურებს რომ დასაქმებული პირები და სტრუქტურული ერთეულები ჩართული არიან მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პროცესში. სკოლაში მოქმედებს ისეთი კოლეგიური ორგანოები, როგორიცაა: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სამეურვეო საბჭო, აერთიანებს მშობელთა, პედაგოგიური საბჭოს და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომდგენლებსა და ახორციელებს თავის საქმიანობას კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად. სხვა სტრუქტურული ერთეულებიც მოქმედებენ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“, რომლის მიხედვით პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის საგაკვეთილო პროცესს, უზიარებენ გამოცდილებას სხვებს და იღებენ კოლეგებისგან განმავითარებელ უკუკავშირს, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია თანამშრომლობაზე, ხელს უწყობს და ახალისებს სკოლაში ურთიერთნდობასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს დასაქმებულთა წარმატებისა და მიღწევების აღიარების მექანიზმები. კერძოდ, სკოლა უფლებამოსილია წაახალისოს დასაქმებული პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის. წახალისების ფორმები მოიცავს: მადლობის გამოცხადებას, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებას, ერთჯერად პრემიას და დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნას. წახალისების პროცესის ინიცირება შეიძლია დირექტორის მოადგილეს, საგნობრივ კათედრას, პედაგოგიურ საბჭოს და სამეურვეო საბჭოს, რომლებსაც აქვთ უფლება წერილობით მიმართონ დირექტორს დასაქმებულის წახალისების თხოვნით.

ინდიკატორი 3.1.2.6. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად საკონკურსო კომისიის შექმნის გრძანება , 06.11.2025 წ.*
- *მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად საკონკურსო კომისიის ოქმი, 14.11.2025 წ.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*
- *მრჩეველთა საბჭოს შექმნის გრძანება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროების დადგენის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების სისტემა ეფუძნება პატივისცემისა და აღარების ატმოსფეროს შექმნას, აქტიური მონაწილეობის წახალისებას, გამოცდილების გათვალისწინებას, კოლაბორაციულ კვლევა-ძიებას და სხვ. ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შეფასების მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს „სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები“, სადაც გაწერილია თითოეული პოზიციის დადებითი შეფასების წინაპირობები. საგანმანათლებლო პერსონალის შეფასების მიზნით, სკოლას ქმნის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს, აღნიშნული ჯგუფის მიზანია მასწავლებელთა შიდა შეფასება, კერძოდ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებული საქმიანობასთან. წარმოდგენელი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება სისტემატურად ახორციელებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესრულებას, უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები გამოიკვეთება უშუალოდ პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან თავად თანამშრომელთა მხრიდან. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს მრავალფეროვან მეთოდებს, შესაბამისი აქტივობები და განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი კი აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2025 - 2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ერთერთ სტრატეგიულ მიზნად გამოყოფილია „ადამიანური რესურსის განვითარება“, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დოკუმენტში გაწერილია პერსონალის პროფესიული საჭიროების კვლევის ვალდებულება, გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების დაგეგმვას, რაც გამოიხატება თანამშრომელთათვის საჭირო ტრენინგებისა და სემინარების მოძიებაში, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზებაში, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაში და სხვ.

ინდიკატორი 3.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დაწესებულების ერთერთ მთავარ ღირებულებად გამოცხადებული ის, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც უშუალოდ სკოლის ბაზაზე, ისე გარედან შემოთავაზებული სერვისების სახით; ამ მიზნით განხორციელებული აქტივობები და მათთვის საჭირო ბიუჯეტი წინასწარ აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ) ასახავს დაწესებულების მზაობასა და კონკრეტულ ნაბიჯებს, თანამშრომლების კარიერული წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, მაგალითად, კვალიფიკაციის ამაღლების, უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერაში და ა.შ. სკოლას აქვს თანამშრომლისთვის ტრენინგის ორგანიზების და ჩატარების მომსახურების შესყიდვის გამოცდილება.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი არეგულირებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. დოკუმენტი ხაზს უსვამს თანამშრომლის მიერ საკუთარი უნარების სრულად გამოსავლენად წარმატებული ადაპტაციის პროცესის მნიშვნელობას და გამოკვეთს ახალი კადრის ადაპტაციის სამ ეტაპს: მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა. სოციალიზაციის გამარტივებისათვის სკოლა ახორციელებს ადაპტაციის პროცედურებს. სკოლას აქვს „ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი“, რომლის მიზანია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან შეგუების ხელშეწყობის მიზნით ნაბიჯების დაგეგმვა და ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, რათა გახდეს სკოლის ღირებული წევრი. სამუშაო გარემოსთან ეფექტიანი ინტეგრაციის მიზნით დოკუმენტში გაწერილია კონკრეტული აქტივობები და მასზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება ახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. სკოლა იძლევა მოქნილობის საშუალებას - განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივები შეიძლება გამოიკვეთოს როგორც ფორმალური გზით, პერსონალის საჭიროებების კვლევის ინიციატივების შედეგად, ასევე არაფორმალური სახით, მაგალითად ზეპირსიტყვიერად, თავად პერსონალის მხრიდან. ინიციატივებისა და ზოგადად პროფესიული საქმიანობს წახალისების მიზნით, სკოლა დანერგილი აქვს მატერიალური და არამატერიალური სტიმულირების მექანიზმები, მოტივაციის ამაღლების მიზნით გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, დაწესებულება უფლებამოსილია თანამშრომელი წაახალისოს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, მაღალი პროფესიონალიზმისთვის ან საგანმანათლებლო პროცესში თავის გამოჩენისთვის. თანამშრომლის წახალისების ინიციატივებით სკოლის დირექტორისთვის მიმართვის უფლება აქვს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელს.

ინდიკატორი 3.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*
- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა, 2025-2026 წლები*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი*
- *ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლას აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, სადაც ხაზგასმულია მართვის ციკლური მოდელი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლის შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება პრინციპს: დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - მოახდინე რეაგირება. აღნიშნული მიდგომა, გულისხმობს ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ ახალი გაუმჯობესებული ციკლის დაწყებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი რომელიც ხაზს უსვამს, რომ დაწესებულებას აქვს პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. დოკუმენტში კლასიფიცირებულია სკოლის საქმიანობის მიმართულებები. ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დასკვნის შედგენა, უკუკავშირი და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესება. „ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“ ეხება საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ადამიანურ და პრაქტიკულ მხარეს. დოკუმენტის მიხედვით , მასწავლებელი წლის დასაწყისში, თვითშეფასების საფუძველზე ადგენს საგნობრივ კურიკულუმს და წარმართავს სასწავლო პროცესს, ყოველი სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს კი ხდება განხორციელებული აქტივობების განხილვა და

განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. სკოლის „მისიის ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ასევე ემყარება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

ინდიკატორი 3.3.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით, დაწესებულების მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება;; დოკუმენტის მიხედვით, სკოლამ უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების დეტალურ აღწერას ცალკეულ დოკუმენტებში, სადაც მითითებული იქნება მათი მიზანი, ქვეპროცესები. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება სისტემური მიდგომა მართვისადმი, ხოლო, მოსალოდნელი რისკები წინასწარ იქნება განსაზღვრული. სკოლის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები ასევე აღწერილია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, სადაც შინაარსობრივად და იერარქიულად მსგავსად არის დალაგებული, თუმცა ფორმულირებაში არის გარკვეული სხვაობები. თავად მეთოდოლოგია წარმოადგენს კონკრეტული ძირითადი პროცესის - „კურიკულუმის განვითარების“ დეტალური სახელმძღვანელოს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების ფორმულირების საერთო წესი.

ინდიკატორი 3.3.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებას აქვს „შინაგანაწესი“, რომელშიც არეგულირებს საჩივრისა და განცხადებების განხილვის სიტემას, როგორც სკოლის თანამშრომლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. დოკუმენტი ადგენს სკოლაში შემოსული განცხადების რეგისტრაციის, მასზე რეაგირების საკითხებს. მოსწავლეს, მშობელს, კანონიერ წარმომადგენელის წერილობით მიმართვა არის დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი. შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის ფორმებს და პასუხისმგებლობის სახეებს. აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესში, ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის ნაცვლად იხსენიება მანდატური, რომელიც დაწესებულებას არ ჰყავს. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისციპლინური წარმოების საკითხებს. მასში შედის შედის მასაწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ორ-ორი წარმომადგენელი. სკოლაში მოქმედებს „განცხადების და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე და კანონიერ წარმომადგენელზე, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, რომ სკოლას მიმართოს საჩივრით. აღნიშნული წესის მიხედვით, წარდგენილი საჩივარი/ განცხადება განხილული უნდა იქნა სამართლიანად და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას აქვს „დისციპლინური კომიტეტის დებულება”, სადაც განსაზღვრულია დისციპლინური კომიტეტის დაკომპლექტების წესი მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილებისა, მუშაობის წესები და სხვა აღნიშნული დოკუმენტი, ძირითადად ეხება მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესს და არ მოიცავს მასწავლებლის დისციპლინური წარმოების საკითხებს. ამავე დოკუმენტით, დისციპლინური კომიტეტის სახდელის გასაჩივრება ხდება დირექტორთან, რაც ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლს.

სკოლას მიეცა **რჩევა**, შინაგანაწესში უზრუნველყოს ტერმინოლოგიის სიზუსტე და მანდატურის ნაცვლად გამოიყენოს უფლებამოსილი პირი.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, *დირექტორის ბრძანებით (N 01-03/24; 26.04.2026) სკოლის „დისციპლინური კომიტეტის დებულებაში“ განხორციელდა საჭირო ცვლილებები.*

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, რომლის მიხედვით სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე და უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს შესაბამისი ინსტრუმენტები და სტრუქტურები. მაგალითად, დაცვის მექანიზმებია: სკოლის შინაგანაწესი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლესა და მის

მშობელს/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იცნობდეს შრომის შინაგანაწესს. სკოლა მოსწავლის მშობელთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც გაწერილია მხარეთ უფლება-მოვალეობები; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ხელმისაწვდომობა, მშობელს შეძლია გაეცნოს სასკოლო სასწავლო გეგმას, ბიუჯეტს და სხვ; შიდა მექანიზმებით უკმაყოფილების შემთხვევაში მას შეუძლია მიმართოს ზემდგომ სტრუქტურებს. პერსონალის უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლების შესაბამისად, მათ აქვთ პროფესიული გაერთიანების, გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება, დაცულია მათ პერონალური მონაცემები. როგორც სკოლაში დასაქმებული ყველა პირი, ასევე მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი უნდა იცნობდეს სკოლის შინაგანაწესს.

ინდიკატორი 3.3.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლისდისციპლინური კომიტეტის დებულება*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი*
- *სსიპ -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი"*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
- *სსიპ -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი*
- *სსიპ -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
- *ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, და აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. საზოგადოებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად, დაწესებულება იყენებს ვებგვერდს სკოლების პორტალზე, ელექტრონულ ფოსტას, გვერდს სოციალურ ქსელში. საკომუნიკაციო არხების საშუალებით ხდება, საჯაროობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა, მმართველობითი პროცესების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, სკოლის საქმიანობის და განხორციელებული აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; ვებგვერდსა და სოციალური ქსელის მართვაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე, ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირებაზე კი საქმისმწარმოებელი. უკუკავშირის მიღების მიზნით, სკოლა მიმართავს როგორც ელექტრონულ , ასევე პირდაპირ კომუნიკაციას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა არხებით შემოსული ინფორმაციის, უკუკავშირის ანალიზს და იყენებს მათ სასწავლო და მართვის პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონით, გარდა ამისა სკოლას მათი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებშიც ჩანს მათ ფუნქციონირებასა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეგიური ორგანოებში ჩართულობის საშუალება აქვს მშობელს, პედაგოგს, მოსწავლეს. აღნიშნულ ორგანოებში ჩართულობა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობას აძლევს დააყენონ ინიციატივები, ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღებაში, გამოხატონ საკუთარი აზრი.

ინდიკატორი 3.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამეურვეო საბჭოს ოქმები 2025-2026 სასწ. წ.*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმები 2025-2026 სასწ. წ.*
- *სსიპ -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი, 2025 წ. ოქტომბერი*
- *დირექტორის მ/შ ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.

სკოლას აქვს „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და ადგენს სკოლის მართვის ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

სკოლა წარმოადგენს სამსართულიან ნაგებობას, სარდაფით. დაწესებულების სამივე სართულზე განთავსებულია ხანძრასაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები) და საევაკუაციო გეგმები. დაწესებულებას გაგზავნილი აქვს მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (14/01/2026, MES 3 26 0000021197). ვიზიტის პერიოდში დასკვნა არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა აღნიშნულ საკითხზე გაგზავნილი აქვს წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადების მიზნით. დაწესებულებას ასევე არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გაგზავნილია წერილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) დადგენის მიზნით.

სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური, თუმცა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. აღნიშნულ პირს აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული გადამზადების დამადასტურებელი სერთიფიკატი. აღნიშნული პირი ადევნებს თვალყურს სკოლაში უცხო პირთა შემოსვლას და გადაადგილებას.

საშტატო ნუსხის და წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, სკოლას ემსახურება ერთი დარაჯი. როგორც დასაქმებული პირის ხელშეკრულებაში არის აღნიშნული, მან სამუშაო საათებში უნდა უზრუნველყოს სკოლის დაცვა. დაწესებულებას არ ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი არასამუშაო საათებში სკოლის შენობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

სკოლის შიდა პერიმერტზე დაკვირვებას უზრუნველყოფს ვიდეოსათვალთვალო სისტემა. სამივე სართულზე, დერეფნებში განლაგებულია ორ-ორი ვიდეოსათვალთვალო ვიდეოთვალი (ჯამურად ექვსი), რომლებიც აკვირდება შიდა სივრცეს. პირველ სართულზე განთავსებული ორი ვიდეოთვალი არ არის საკმარისი დერეფნის, კიბის უჯრედის და შემოსასვლელი სივრცის სრული კონტროლისთვის. სკოლის გარე პერიმეტრზე განლაგებულია ოთხი ვიდეოთვალი: ორი მთავარ და ორი დამხმარე (შენობის უკანა მხარეს) შესასვლელთან. ვიდეოსათვალთვალო სისტემა სრულად ვერ ფარავს სკოლის გარე პერიმეტრს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, *სკოლა:*

არაუგვიანეს ***2026 წლის სექტემბრისა*** *უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადებას და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებას;*

არაუგვიანეს ***2027 წლის აპრილისა*** *უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ;*

არაუგვიანეს ***2026 წლის სექტემბრისა*** *უზრუნველყოფს შენობის შიდა და გარე პერიმეტრის სრული კონტროლისთვის საჭირო რაოდენობის ვიდეოკამერების დამონტაჟებას;*

არაუგვიანეს ***2026 წლის სექტემბრისა*** *უზრუნველყოფს ღამის დარაჯის დასაქმებას.*

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით; ოთახს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია სამკურნალო მედიკამენტებით და სამედიცინო დახმარების გასაწევად საჭირო ინვენტარით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხის მიხედვით, სკოლაში დაშვებულია ექთნის შტატი და დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც განსაზღვრავს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითად ელემენტებს და მათ განსახორციელებლად საჭირო ქმედებებს.

ინდიკატორი 3.4.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“ მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, უფლებისა და წესების გაცნობას, საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზებას და სხვა. აღნიშნული დოკუმენტით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორის მ/შ, უფლებამოსილი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. მრჩეველთა საბჭო განიხილავს ანგარიშებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ისმენს დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ და სხვა. მრჩეველთა საბჭოს სხდომები იმართება სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ოთხჯერ და კრება უფლებამოსილი, თუ ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს რეკომენდაციები წარედგინება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. სკოლაში განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა ხდება სკოლის შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

ინდიკატორი 3.4.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის და რეგულირების ძირითადი ნორმები განსაზღვრული არის სკოლის შინაგანაწესში. გარდა ამისა, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისა და დაცვისათვის საჭირო მექანიზმებსა და ღონისძიებებს. მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო სივრცის უზრუნველყოფა, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას და მათი ღირსების დაცვას. სკოლა ვალდებულებას იღებს განახორციელოს საინფორმაციო და პრევენციული ღონისძიებები. დოკუმენტი ითვალისწინებს კონფლიქტების მართვის სტრატეგიების დანერგვას, მათი აღმოჩენისა და განეიტრალების მიზნით, პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით, მრჩეველთა საბჭოს აქვს უფლებამოსილება შეიმუშაოს ინიციატივები სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ და წარუდგინოს სკოლის დირექტორს; სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ბავშვთა მიმართა განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეზე ძალადობის შემთხვევაში ეფექტური, სწრაფი რეაგირების მექანიზმებს და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების განხორციელების საკითხებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვთა რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას აქვს ფართო ნათელი დერეფნები, სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი, რომლებიც ხელს უწყობს მოწავლეთა სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფის ორი დამლაგებელი. მათი ვალდებულებები შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით და თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით არის გაწერილი. დამლაგებლები უზრუნველყოფენ შენობის ფართის მოწესრიგებას და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების შესაბამისად. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმს, და ვრცელდება სკოლაში არსებულ ყველა სივრცეზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო ოთახებზე. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურებს, კერძოდ ყოველდღიური და პერიოდული დასუფთავების, სპეციალური ოთახების მოვლის, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე, სადეზინფექციო საშუალებების მარაგში შენახვა დასაწყობება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის შენობის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების, შენახვას სპეციალურად განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსო ოთახში, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის. ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ის ჩართულია სკოლის სანიტარულ ჰიგიენურ ზედამხედველობაში, მოსწავლეთა ჯანმრთელობითი განათლებისა და პირადი ჰიგიენის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობასა და სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილი იყო ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით და რესურსებით.

ინდიკატორი 3.4.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას დამტკიცებული აქვს „პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს; რეგულაციის მიხედვით, მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კანონიერად, არ უნდა შელახოს ადამიანის ღირსება; მონაცემთა დამუშავების მიზანი უნდა იყოს კონკრეტული და კანონიერი, მოცულობა კი ადეკვატური და პროპორციული. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების შესახებ, მიზნებისა და საფუძვლების თაობაზე. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ასევე მოიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმს“, სადაც გაწერილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები, კონკრეტულ სივრცესა და პროცესებში არსებული დაცვის მექანიზმები, მონაცემთა კანონიერი დამუშავების მონიტორინგის საკითხები და ა.შ. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (რესურსცენტრის თანამშრომელი). სკოლას აქვს სასკოლო ღონისძიებების დროს გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალის საჯარო სივრცეში გამოყენებაზე მშობლისაგან თანხმობის მიღების პრაქტიკა და შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა.

სკოლას აქვს ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრზე დაკვირვებას. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირების წერტილი განთავსებულია სკოლის დირექტორის კაბინეტში, რომელიც ასევე წარმოადგენს საქმისმწარმოებილის და ბუღალტერის სამუშაო სივრცეს. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებისთვის განკუთვნილი სივრცე არ არის სათანადოდ დაცული და იზოლირებული. სკოლის დირექტორის ბრძანებით უსაფრთხოების კამერებზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული არის თავად სკოლის დირექტორი. სკოლის შინაგანაწესში აღნიშნული, რომ დაწესებულება ვალდებულია დაიცვას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომლის მიხედვით ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით:

*დირექტორის ბრძანებით (N01-03/11; 24.04.2026) უსაფრთხოების კამერებზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა უფლებამოსილი პირი; სკოლა არაუგვიანეს **2026 წლის სექტემბრისა** ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებისთვის გამოყოფს ცალკე ოთახს.*

ინდიკატორი 3.4.1.6. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის“ მიხედვით, სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგს, ახდენს დასაქმებულების, მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით, სკოლა ვალდებულია მიიღოს

ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური დოკუმენტაციის დასაცავად., მონაცემთა დამუშავება კი მოხდეს სამართლიანობის, მიზნობრიობის, კანონიერების და პროპორციულობის პრინციპის დაცვით. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის დაცვას უნებართვო წვდომისგან. სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული პროგრამები ლიცენზირებულია.

ინდიკატორი 3.4.1.7. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის პერიოდულ შეფასებას. „უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის“ მიხედვით, აღნიშნული მექანიზმების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა, შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი, ძალადობის რისკების შეფასება, ფსიქოლოგიური გარემოს მონიტორინგი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგი და სხვა. მნიშვნელოვანია მრჩეველთა საბჭოს როლი, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს, მოსალოდნელი რისკების და საფრთხეების პრევენციისთვის. სკოლის დირექტორი მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.8. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლაში სანიტარულ -ჰიგიენური პირობების დაცვაზე; სადეზინფექციო საშუალებების მარაგში შენახვა დასაწყობება -გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ*
- *ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება 25.12. 2025*
- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი*
- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.*

- *სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში გაგზავნილი განცახდება14/01/2026 , MES 9 26 0000021085*
- *სკოლის დარაჯთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება 03.09.2024*
- *სკოლის ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება 29.12.2025*
- *სკოლის დირექტორის მ/შ განცხადება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირს - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე , 14/01/2026, MES 3 26 0000021197*
- *სკოლის დირექტორის მ/შ განცხადება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირს - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს საგანგებო მართვის გეგმის პროექტის მომზადების შესახებ 14/01/2026, MES 4 26 0000021224*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრის შესახებ*
- *სკოლის საევაკუაციო გეგმები (სამი სართული) .*
- *სსიპ -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია*
- *დირექტორის მ/შ ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ*
- *სკოლის შინაგანაწესი*
- *სსიპ ქობულეთის მუბიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება თამბაქოს მოხმარების კონტროლზე და შენობის შესასვლელის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორი ზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში. სკოლის შენობა წარმოადგენს სამსართულიან ნაგებობას, სარდაფით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობის არის 4127.00 კვ.მ., ხოლო შენობა - ნაგებობის კი 2773.7 კვ.მ. შენობის ფართობის შეახებ ამონაწერში არსებული მონაცემი არ მოდის შესაბამისობაში შენობის შიდა აზომვითი ნახაზის მონაცემებთან (ნახაზის მომზადების თარიღი 05.06.2018) , რომლის მიხედვით I სართულის ფართობი არის 1178.62 კვ.მ; II სართულის ფართობი: 882.08 კვ.მ; III სართულის ფართობი: 575.88 კვ.მ; სარდაფის ფართობი: 630.36 კვ.მ; შენობის საერთო ფართობია 3266.94 კვ.მ. შესაბამისად, ამონაწერში არ არის გათვალისიწინებული სარდაფის ფართობი და რეესტრში არსებული მონაცემები საჭიროებს განახლებას. სკოლის ეზოში დგას ცენტრალური გათბობისათვის განკუთვნილი საქვაბე ნაგებობა. სკოლის ეზო დაცულია ლითონის მესერით და ბეტონის ზღუდით (შენობის უკანა მხარე).

სკოლა ახლად რეაბილიტირებულია და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სარემონტო სამუშაოები დასრულების ფაზაში იყო. შენობის სამივე სართულზე განლაგებულია კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, დაფებით და სხვა საჭირო ინვენტარით. საკლასო ოთახების უმრავლესობა აღჭურვილია პროექტორებით და შესაბამისი ეკრანებით. ვიზიტის პერიოდში, სკოლას ჰყავდა 130 მოსწავლე და წარმოდგენილი იყო 12 კლასი. დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები (I-IV) განლაგებულია შენობის პირველ და მეორე სართულებზე, საკლასო ოთახების ძირითადი ნაწილი კი მესამე სართულზე მდებარეობს. გარდა ამისა, მესამე სართულზე არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახი, კოლეგიური ორგანოების საქმიანობისა და საკლუბო მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცეები. მეორე სართულზე არის განთავსებული დირექტორის და მის მოადგილის ოთახები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, პროფორიენტაციის სივრცე; პირველ

სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამედიცინო მომსახურების სივრცე, სპორტდარბაზი, და სხვა. სკოლა აქვს მოცულობითი სარდაფი. სკოლის პირველ სართულზე მდებარეობს გოგონებისა და ვაჟებისთვის განკუთვნილი სველი წერტილები და ორი ადაპტირებული სველი წერტილი; ხოლო მეორე სართულზე პედაგოგებისათვის განკუთვნილი სველი წერტილები.

სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი 11 პერსონალური კომპიუტერი. გარდა ამისა პერსონალური კომპიუტერები დგას დირექციის და სპეციალური მასწავლებლის კაბინეტში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს „საჯარო სკოლების მატრიალური გაუმჯობესების ქვეპროგრამის“ ფარგლებში სკოლას გადაეცა 15 სტანდარტული ლეპტოპი. რომლითაც სარგებლობენ კათედრის წევრები, ბიბლიოთეკარი და სხვა თანამშრომლები. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის პროექტორები და პრინტერები. ასევე, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდში წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და დამხმარე ლიტერატურა, საინფორმაციო მასალები და ა.შ.

ვიზიტის პერიოდში, სკოლის სააქტო დარბაზში და სპორტდარბაზში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლებიც იყო დასრულების ფაზაში. სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესი არ იყო დასრულებული.

სკოლაში აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახი, სადაც დამონტაჟებული არის გამწოვი კარადა. ოთახში არ არის ხელსაბანი, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდა და ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიული აღჭურვილობა.

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგია, წყალმომარაგება, ცენტრალური გათბობა, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, *სკოლა:*

*არაუგვიანეს **2027 წლის აპრილისა** შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზის მონაცემებს ასახავს საჯარო რეესტრში;*

*არაუგვიანეს **2027 წლის აპრილისა**, უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახის აღჭურვას ხელსაბანით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდით და საგნობრივი სასწავლო-ლაბორატორიული რესურსით.*

ინდიკატორი 3.5.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვით, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ერთერთი მთავარი პრინციპია მათი ხელმისაწვდომობა როგორც სკოლის მოსწავლეებითვის, ასევე თანამშრომლებისთვის. ამ პროცესში კი დაცულია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. დოკუმენტის მიხედვით კომპიუტერული ლაბორატორია, საგანმანათლებლო

და ელექტრონული რესურსები, სპორტული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის და სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ლაბორატორიის გამოყენების წესი“ რომელიც მოიცავს საჯარო სკოლაში სარგებლობაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებით სარგებლობის წესს. აღნიშნული წესის მიხედვით ლაბორატორიით სარგებლობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ემსახურება როგორც მოსწავლეებს, ასევე სკოლის პერსონალს.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია; ასევე სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი, სადაც სარემონტო სამუშაოები დასრულების ფაზაშია, დასრულების შემდეგ აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა თავისუფლად არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის;

ინდიკატორი 3.5.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შენობის პირველ სართულზე არის განთავსებული. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზს და დამოუკიდებელ ოთახს, წიგნების საცავის ფუნქციით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 607 ერთეული მხატვრული/ სამეცნიერო-საცნობარო ლიტერატურა და გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. წიგნები აღრიცხულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. ბიბლიოთეკარი აღრიცხავს გატანილ წიგნებს, პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პორტატული კომპიუტერით. სკოლა დაინტერესებულია წიგნადი ფონდის განახლებით და გაფართოებით.

ინდიკატორი 3.5.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა ზრუნავს ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის პირობების შექმნაზე. შენობის მთავარ შესასვლელში მოწყობილია არის პანდუსი რომელიც უზრუნველყოფს გარე სივრციდან სკოლის პირველ სართულთან კომინკაციას ფიზიკური შეზღუდვის მქონე

პირებისთვის; ასევე, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ორი ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც ასევე პირველ სართულზე მდებარეობს და ყველა საჭირო ინვენტარით და რესურსით არის აღჭურვილი. შენობას არ აქვს ლიფტი ან სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ადმინისტრაციული სივრცეები და საკლასო ოთხების უმეტესობა განლაგებულია შენობის მეორე და მესამე სართულზე, შესაბამისად, სკოლას არ აქვს პრევენციული მექანიზმი, უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეების ხელმისაწვდომობა, შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, *სკოლა, არაუგვიანეს* ***2028 წლის აპრილისა,*** *უზრუნველყოფს შენობაში პანდუსის ან ლიფტის მოწყობას.*

ინდიკატორი 3.5.1.4. ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ მრავალფეროვანი აქტივობები, მაგალითად კულტურული, სოციალური, სპორტული. სკოლაში არსებობს სივრცეები, რომლებიც მოსწავლეებს კომუნიკაციის, თანამშრომლობის, იდეების გაზიარების საშუალებას აძლევთ. ასეთი სივრცეებია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი და სხვ. ღია სივრცეები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები და გაუზიარონ თავისი მიღწევები, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჩართულობის და სოციალური უნარ -ჩვევების განვითარებას.

ინდიკატორი 3.5.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი*
- *შენობის შიდა აზომვითი ნახაზი 05.06.2018*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 31/12/2025*
- *ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლაში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *სსიპ სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლაში ლაბორატორიის გამოყენების წესი*
- *სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარება - საპროექტო წინადადება*
- *სსიპ - სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შექმნილი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი N 2, 25.12.2025 , ოქმის დანართი*

- *გრძანება სავალდებული ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ 15.12.2025 წწ.*
- *მიღება -ჩაბარების აქტები: ლეპტოპები, პროექტორები, პრონტერები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესიის სრულფასოვნად წარმართვისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა; დაწესებულებას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით და პროექტორით არის აღჭურვილი. ლაბორატორიაში, სასწავლო დანიშნულებით დგას 11 პერსონალური კომპიუტერი. გარდა ამისა, სკოლას აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსგან მიღებული 15 პორტატული კომპიუტერი, რომლებსაც იყენებენ პედაგოგები, მოსწავლეები, სკოლის ადმინისტრაცია. დაწესებულების ათი საკლასო ოთახი აღჭურვილია ჭერზე დამონტაჟებული პროექტორებით და შესაბამისი ეკრანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების ეფექტურ გამოყენებას. სამასწავლებლოში, ადმინისტრაციის ოთახებში, სპეცმასწავლებლის ოთახებში დგას პრინტერები (ჯამში ექვსი

მოწყობილობა). კომპიუტერული ტექნიკის გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას, სკოლის უსადენო ინტერნეტ ქსელით მომსახურებას, უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

სკოლის ადმინისტრაცია აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერებით /სკანერის აპარატით. სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში.

ინდიკატორი 3.6.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ლაბორატორით სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვით ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის. დოკუმენტით განსაზღვრული ხელმისაწვდომობა გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას ლაბორატორიით სარგებლობის პროცესში, მისი გამოყენების მიზნობრიობას მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად, აგრეთვე თანამშრომელთა მიერ საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის. დოკუმენტით ლაბორატორიის ეფექტურ მუშაობაზე და გრაფიკის შედგენაზე პასუხისმგებელია ინფორმაციულ -საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი - კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები თვალსაჩინოდ არის გამოკრული ლაბორატორიის ოთახში. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ეფექტურ ინტეგრაციას, მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესებას და ა.შ. შესაბამისად, მოსწავლეებს და პერსონალს აქვს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის უფლება, საჭიროებების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.6.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შექმნილი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი N2, 25.12.2025*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება სკოლაში სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ 15.12. 2025 წ*

- *მიღება _ჩაბარების აქტი ლეპტოპების შესახებ*
- *მიღება -ჩაბარების აქტი პროექტორების შესახებ*
- *მიღება -ჩაბარების აქტი პრინტერების შესახებ.*
- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულის სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილი არის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემა, შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის სახეები, მათი მიღების და დაგზავნის წესები, ასევე აღრიცხვისა და მოძრაობის კონკრეტული მექანიზმები. წესის მიხედვით, საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის სწორად წარმართვაზე. დაწესებულება აწარმოებს დოკუმენტაციას ელექტრონული და მატერიალური სახით. სკოლაში, შესაბამის წიგნებში მატერიალური სახით აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, დირექტორის საერთო ბრძანებები, ბრძანებები მოსწავლეთა მოძრაობის შესახებ, საკადრო ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები, მოსწავლეთა მოძრაობა, საბუღალტრო დოკუმენტაცია და ა.შ. წესის მიხედვით, საქმისწარმოების ერთიანი სისტემა ორიენტირებულია მუდმივ მონიტორინგსა და კონტროლზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას დავალებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

რჩევა: სასურველია სკოლამ საქმისწარმოების წესში შეიტანოს მითითება, რომ კოლეგიური ორგანოების ოქმები ინომრება კალენდარული წლის ფარგლებში.

ინდიკატორი 3.6.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულისისტემა (Eflow). სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის დეტალური ასახვა ხდება სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნული სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, დაწესებულება ინფორმაციის მიღება-გავრცელების და სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით იყენებს ვებგვერდს სკოლების პორტალზე, ელექტრონულ ფოსტას და სოციალურ ქსელში (Facebook) არსებულ სკოლის ვებგვერდს.

ინდიკატორი 3.6.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა წარმოდგენილია სრულყოფილით პროფილით ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) შეყვანილია ყველა თანამშრომლისა და მოსწავლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც განახლებადია. სისტემაში ხორციელდება გაკვეთილების ცხრილის და განრიგის შექმნა, საგნების განაწილება, კლასების შექმნა. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად აისახება პირველკლასელთა ლიმიტი და სხვ.

ინდიკატორი 3.6.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს, ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს; ასევე, ყოველი წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და სხვა სტრუქტურებს წარუდგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშებს. სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ერთიანი საქმისწარმოების დებულება (წესი)*
- *სარეგისტრაციო / აღწერის ჟურნალები*
- *სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N 5 (2025 წ.)*
- *საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან გაგზავნილი ანგარიში 10/12/2025 .*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კავშირის მექანიზმებს. ძირითად საკომუნიკაციო არხებად და პლატფორმებად განსაზღვრულია სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, გვერდი სოციალურ ქსელში, სკოლის ელექტრონული ფოსტა, სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალი, რომელთანაც სკოლა პერიოდულად თანამშრომლობს. აღნიშნული წესის მიხედვით, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია სკოლის შიგნით და გარეთ კომუნიკაცია წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადა, ასევე იზრუნოს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებაზე სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებგვერდის ფუნქციონირებაზე, ასევე ინფორმაციის შენახვაზე, დასაქმებულებისთვის ინფორმაციის გაცნობაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები. საინფორმაციო მასალები, მარეგულირებელი აქტების განთავსება ხდება სკოლის საინფორმაციო კუთხეში, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, Teams პლატფორმას და სხვ.

ინდიკატორი 3.6.3.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დირექცია ამ ინფორმაციის გავრცელების დროს ეყრდნობა დამადასტურებელ მასალას, პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობასა და სისწორეზე. ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება მატერიალურად სკოლის საინფორმაციო სივრცეში. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა და მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორი 3.6.3.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მიხედვით საზოგადოებისგან, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი გამოყენებული უნდა იქნას სკოლის გაუმჯობესების მიზნებისთვის; სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირის შედეგები უნდა აისახოს სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამ მიზნით კი სკოლა უნდა განახორციელოს ყველა საკომუნიკაციო არხით შემოსული კითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, უკუკავშირის მისაღებად დაწესებულება მიმართვას უშუალო შეხვედრებს ასევე იყენებს სოციალურ ქსელში არსებულ გვერდს სადაც ქვეყნდება სკოლის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები, საკომუნიკაციოდ გამოიყენება Teams პლატფორმა და სხვ. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა ახდენს რეაგირებას ახდენს და იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სკოლების პორტალზე, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, (skolebi.emis.ge.) სკოლა საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე; შესაბამისად ვებ.გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

დაწესებულების გვერდი, სკოლების პორტალზე, სკოლის შესახებ გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ჩარიცხვის პროცედურები და სხვ. ჯერჯერობით არ დევს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.
ინდიკატორი 3.6.3.5. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე (skolebi.emis.ge)*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება ვებგვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (2026 წ.)*
- *სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება ინფორმაციის შენახვაზე, დასაქმებულებისთვის ინფორმაციის გაცნობაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ (2024 წ.) .*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლის ძირითადი წყაროა მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება, რომელსაც ემატება მიზნობრივი დაფინანსებები, (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, ექთნის, უსაფრთხოების და სხვ.) დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას, ასევე სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის შეძენას, კომუნალურ თუ საოფისე ხარჯებს და ა.შ. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, დირექტორის წარდგინებით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ეფუძნება სკოლის საჭიროებებს, პროგნოზებს, წინა წლების გამოცდილებას. ამასთან დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ შესაძლებლობებსა და ხარჯებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სკოლის ბიუჯეტის კორექტირება. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სკოლის დირექტორი ყოველი წლის ათ დეკემბრამდე სამურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ .

ინდიკატორი 3.7.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ქმნის საპროგნოზო ბიუჯეტს, სადაც გაწერილი არის მოსალოდნელი შედეგები და ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლის დირექტორი, ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს და ეყრდნობა როგორც გასული წლის გამოცდილებას, ასევე სამომავლო

საჭიროებებს და გათვლებს. ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად წარდგინება სამეურვეო საბჭოს. ფინანსები ნაწილდება წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ხდება კორექტირება, რაც გულისხმობს მოქნილ და რეალურ საჭიროებებზე მორგებულ დაგეგმვას. სკოლა აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ერთმანეთთან დაგეგმილი და ფაქტობრივი მონაცემების შედარება. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსთან ხდება ანგარიშის წარდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს კომპლექსური მიდგომა ფინანსების ხარჯვის მიმართ.

ინდიკატორი 3.7.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი*
- *დირექტორის მ/შ ბრძანება სკოლის 2026 წლის ბიუჯეტის ამოქმედება/ძალაში შესვლის შესახებ, 08/01/2026*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N 5 (2025 წ.)*
- *საშტატო ნუსხა*
- *სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა, 2026 წ.*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიები. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტები; შექმნილია სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვას:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო;
- სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ.

შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესებს, გადაცდომის სახეებსა და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს. კანონიერი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს იცნობს სასკოლო საზოგადოება და ამავდროულად საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

მოსწავლის მიმართ/მიერ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების)პროცედურების დამტკიცების თაობაზე „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“.

სკოლაში მოქმედებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი; დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს საჩივრის წარდგენის, განხილვის, ვადებისა და გადაწყვეტილების მიღების წესს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე პროცედურის განხორციელებას. პროცედურები ხელმისაწვდომია და ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური საჩივრების განხილვის მექანიზმებს. სკოლა ხელს უწყობს უსაფრთხო, არაძალადობრივი და უფლებებზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული დამრიგებლის მუშაობის დებულების თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია; ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისკენ, მკაფიოა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, ღია შეხვედრების, საინფორმაციო დაფისა და სკოლის ვებ-გვერდის საშუალებით. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს სკოლის მისი გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლა, მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელი არეგულირებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურეობის გაწევის პროცესს და მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს; სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხრიდან. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. მშობელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი 4.1.1.3. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კლასის დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;*
- *განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;*
- *მშობელთა თანხმობის ფორმა;*

- *მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *სკოლის ვებ-გვერდი.*
- *ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დოკუმენტი „მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და მობილობის განხორციელების წესი“ განსაზღვრავს პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. რეგულაცია შეესაბამება საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიულ აქტებს. სკოლის აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა, მოსწავლეთა მობილობის წესი, მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა. მოსწავლეთა მობილობაზე შემოსული განცხადებები, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool).
პროცედურები თანხვედრილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №04/ნ ბრძანებასთან; დაწესებულია მკაფიო ვადები და პასუხისმგებელი პირები. რეგულაციები კანონთან შესაბამისობაშია.
ინდიკატორი 4.1.2.1. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და საქმისწარმოებით დასტურდება, რომ დირექტორის მ/შ ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობაშია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად , მოსწავლეებს ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა ან მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შესწავლით, დადასტურდა, რომ მოსწავლეთა სტატუსის ცვლილება, მობილობა და ამორიცხვა, აღნიშნულ საკითხზე მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ხდება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, დოკუმენტური ფიქსაციით. პროცესი გამჭვირვალეა და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.

ინდიკატორი 4.1.2.2. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შინაგანაწესი და პროგრამების შინაარსი ხელმისაწვდომია ოფიციალურ გვერდზე (სკოლების პორტალი). დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში და კურიკულუმებში განსაზღვრულია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეები, საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების ორგანიზების ფორმები და სხვა. სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ქვეყნდება განახლებადი ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის. სკოლას არ აქვს ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

ინდიკატორი 4.1.2.3. შესაბამისობაშია ***სტანდარტის მოთხოვნებთან***

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ აქტივობებსა და რესურსებს რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესის მიხედვით

დაწესებულება ზრუნავს ზოგადი განათლების სფეროში საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე და ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომუნიკაცია სკოლის როგორც შიგნით, ასევე გარეთ წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადა. მოსწავლეები, საგნის მასწავლებლებისგან ან დამრიგებლებისგან, ინფორმირებული არიან სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების და აქტივობების შესახებ და აქვთ მათში მონაწილეობის შესაძლებლობა. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ არის დისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვის გრძანებები;*
- *მშობელთა კრების ოქმები;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*
- *სკოლის გვერდი სკოლების პორტალზე*
- *სკოლის გვერდი სოციალური ქსელში (Facebook)*
- *მოსწავლეთა პირადი საქმეები*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დოკუმენტის „მოსწავლის ადაპტაციის წესის“ საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია სისტემური და დოკუმენტურად განსაზღვრული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის სწრაფ, თანმიმდევრულ და ჰარმონიულ ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ფორმებს.
დოკუმენტში აღწერილია ადაპტაციის პროცესის მიზნები, ამოცანები და შეფასების მექანიზმები, რაც მიუთითებს პროცესულ მიდგომაზე და არა ფორმალურ აქტივობაზე. განსაზღვრულია როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის კეთილდღეობის სისტემურ მონიტორინგს.
სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ გეგმას. სკოლა, კანონმდებლობისა და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართვას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესზე.
დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და პრაქტიკული განხორციელების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ადაპტაციის მექანიზმი არ არის ფორმალური ხასიათის, არამედ წარმოადგენს რეალურად მოქმედ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის უფლებების დაცვას, ფსიქო-ემოციურ სტაბილურობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას.
ინდიკატორი 4.2.1.1. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ არსებული წესის შესაბამისად მოხდინოს მოსწავლეთა ადაპტაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილი „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ მიხედვით, მოსწავლის ადაპტაციის პროცესი იწყება სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან. პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველი კლასის და ახლადჩარიცხული მოსწავლეების ფსიქო-ემოციურ ადაპტაციას.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, საგანმანათლებლო პროგრამების სირთულეს, კულტურულ ან ენობრივ ბარიერებს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც წარმატებული ადაპტაციის პროცესზე ახდენს გავლენას. ადაპტაციის წესის მიხედვით, კლასის ახალ წევრთან გაცნობის პროცესში მნიშვნელოვანია დამრიგებლის როლი ასევე მშობლის ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებთან დაკავშრებით მისი მყისიერი ინფორმირება. ადრეული ეტაპიდან ადაპტაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პროდუქტიულ დაწყებას.

ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში დანერგილია დამატებითი კონსულტაციების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს: სუსტი მოსწავლეების იდენტიფიცირებას პედაგოგების მიერ; ინდივიდუალური საგნობრივი მხარდაჭერის გაწევას; დამატებით გაკვეთილებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს საგნობრივად; მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგს და შედეგების გაზიარებას მშობლებთან.

სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება, რომელიც განსაზღვრავს საგნობრივი სტანდარტის დაძლევის რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლესთან მუშაობის პოლიტიკას. რემედიაციას სკოლა იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც საკონსულტაციო მომსახურებით ვერ ხერხდება კონკრეტულ მოსწავლეებში საბაზისო უნარების განვითარება. დოკუმენტი მოიცავს სამიზნე ჯგუფის შემუშავების კრიტერიუმებს , პროგრამის განხორციელების საფეხურებს და ვადებს, განსაზღვრავს პროგრამის მონაწილეთა ფუნქცია მოვალეობებს და ა.შ.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეთა კანონმდებლობით დადგენილი უფლებების რელიზების მიზნით, სკოლა ახორციელებს სათანადო ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნებზე დროულ უკუკავშირს: ყველა მიმართვაზე რეაგირება ხდება მყისიერად, წერილობითი განცხადებების განხილვა და მშობელთან კომუნიკაცია მიმდინარეობს გამჭვირვალე წესით; ადმინისტრაციული მხარდაჭერა სწრაფი და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის.

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“, რომელიც ეფუძნება გამოხატვის თავისუფლებას და მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს სთავაზობს ინიციატივების წარდგენის წესს და ითვალისწინებს ფინანსურ, საინფორმაციო და მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერას, ინიციატივების რეალიზებისთვის.

წარმოდგენილი მასალების, განხორციელებული აქტივობებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ არაფორმალური განათლება ინტეგრირებულია სასწავლო და სააღმზრდელო პოლიტიკაში. აქტიურად ხორციელდება პროექტული მუშაობა, სკოლამ წარმოადგინა საგნის მასსწავლებლების მიერ განხორციელებული პროექტები.

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, გამომდინარე სკოლაში არაფორმალური აქტივობები: ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს; უზრუნველყოფს მოქალაქეობრივი, კულტურული და სოციალური უნარების განვითარებას; ხელს უწყობს თვითგამოხატვასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას; ქმნის უსაფრთხო, მხარდამჭერ და ინკლუზიურ გარემოს. სკოლა ეფექტიანად ახორციელებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას და დამატებითი განათლების მიმართულებით მუშაობა სისტემური და შედეგზე ორიენტირებულია.

ინდიკატორი 4.2.1.5. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს უკუკავშირის მრავალარხიანი სისტემა, როგორცაა: მოსწავლეთა შეხვედრები დირექტორთან; მშობელთა შეკრებები მოსაზრებების გასაზიარებლად; კლასის დამრიგებელთა ანგარიშები მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. სკოლას აქვს მზაობა სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გაამუჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. აღნიშნული მიდგომა ჩანს სკოლის მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში: სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო საზოგადებისგან მიღებული უკუკავშირი შეიძლება გახდეს სტრატეგიულ და სამოქმედი გეგმაში ცვლილებების შეტანის საფუძველი, ხოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია. დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გათავლისწინებით სკოლა აუმჯობესებს შიდა პოლიტიკას.

ინდიკატორი 4.2.1.6. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ადაპტაციის წესი;*
- *სკოლის შიდა რეგულაციები და დირექტორის ბრძანებები;*
- *დამრიგებლის ანგარიშები;*
- *რემედიაციის პროგრამა;*
- *მშობლის თანხმობობის ფორმა, რემედიაციის პროგრამაში ჩართვაზე.*
- *დიაგნოსტირების დოკუმენტი;*
- *სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;*
- *საგნობრივი კონსულტაციების გრაფიკი და ჟურნალები;*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook)*
- *მოსწავლის ინიციატივების მექანიზმი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ.წ.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული ფუნქცია ეფექტიანად ხორციელდება ადმინისტრაციისა და დამრიგებელთა თანამშრომლობით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2025-2026 სასწ. წ.) გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით (2025-2026) საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ამახვილებს ყურადღებას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საკითხებზე და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის ზოგად ასპექტებს
სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯთან „ახალი ტალღა“ და გაფორმებული აქვს მემორანდუმი (2024 წ.), რომელიც ითვალისწინებს პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზნით მხარეთა თანამშრომლობას.

კოლეჯის წარმომადგენლები პერიოდულად ატარებენ სხვადასხვა თემატიკის კურსებს მოსწავლეებთან. აღნიშნული თანამშრომლობა აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, პრაქტიკულად გაეცნონ პროფესიული განათლების მიმართულებებს.
ასევე, დამრიგებლები სისტემატურად ატარებენ თემატურ საათებს პროფესიის არჩევასა და განათლების გაგრძელების საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის.
ინდიკატორი 4.2.2.1. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დამრიგებლის საათისა და მშობელთა კრებების ფარგლებში, სკოლის წარმომადგენლები დაინტერესებულ პირებს სისტემატიურად აწვდიან განახლებულ და სანდო ინფორმაციას შემდგომი კარიერული განვითარების შესახებ. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ინფორმირებული არიან იმ ეტაპების შესახებ, რომელთა გავლაც მოუწევთ კარიერული განვითარების პროცესში.
ინდიკატორი 4.2.2.2. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ, რაც გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, მათ შორის პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. გარდა ამისა დაწესებულება მიმართავს შემოწმება - შეფასებას, ანონიმური გამოკითხვების ანალიზის მეთოდს, რათა შეაფასოს მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი და დაგეგმოს გაუმჯობესების გზები. სკოლა აფასებს და აანალიზებს კურსდამთავრებულთა შედეგებს, მიღებულ ინფორმაციას კი იყენებს შემდგომი სასწავლო წლის ინტერვენციებისთვის.
ინდიკატორი 4.2.2.3. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სადამრიგებლო პროგრამები;*
- *სასკოლო სასწავლოს გეგმა 2025 -2026 სასწ. წ.*
- *მშობელთა კრების ოქმები;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025 -2026 სასწ. წ.*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღასთან';*
- *სადამრიგებლო პროგრამები*
- *პროფესიული უნარების კურსის მეცადნიეობის გრაფიკი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები*
- *„საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტი"-ს განცხადების ფორმა*
- *კითხვარი საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის (პროფესიული განათლება)*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. საჯარო სკოლას მიმდინარე პერიოდში ერიცხება 2 სსსმ მოსწავლე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდებოდა სკოლის მიდგომები ინკლუზიური განათლების მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი იყო შესაბამისი ისგ ჯგუფი.
ინტერვიუს მეშვეობით ირკვევა, რომ ისგ ჯგუფი პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. ასევე ადგილზე არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას, სამოქმედო გეგმის შედგენას, სწავლის სირთულეების იდენტიფიცირებას, სტატუსის მიღებისა და მოხსნის რეგულაციებს, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის

უზრუნველყოფის რეგულაციებს. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურსოთახი.

ინდიკატორი 4.2.3.1. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით.

სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი ასისტენტი და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით. უნდა აღინიშნოს, რომ იანვრიდან სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და მის ფუნქციები შეთავსებული აქვს სსსმ მოსწავლის ასისტენტს.

ინდიკატორი 4.2.3.2. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;*
- *ისგ ჯგუფის შექმნის გრძანება;*
- *ისგ ფორმა;*
- *მონიტორინგის ჯგუფის ოქმები;*
- *მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;*
- *სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები;*
- *სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;*
- *რესუროთახის დათვალიერება;*
- *სკოლის საშტატო განრიგი;*
- *შრომითი ხელშეკრულებები სპეციალისტებთან.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა). მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტის მომსახურებით „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში.

ინდიკატორი 4.2.4.1. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება

ინდიკატორი 4.2.4.2. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

ინდიკატორი 4.2.4.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობითი და გუნდური პრინციპების საფუძველზე. პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმის განვითარებაში ჩართულნი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი გაწერილია შესაბამის დოკუმენტში და ეფუძნება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზს. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობს კურიკულუმების განახლება და შემუშავება. აღნიშნულის საფუძველზე კათედრები, საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით, განსაზღვრავენ სავალდებულო თემების ჩამონათვალს, საკითხებს, შემოქმედებითი დავალებების პირობებსა და შესაბამის რესურსებს, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) დოკუმენტით.
დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომების ოქმები რომლებიც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.
ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება

კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს შემოქმედებითი დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, დაკვირვების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემას, შეიმუშავებენ მისი მოგვარების გზებს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი.

ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებიან ერთმანეთს და ერთობლივად ადგენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს, რასაც ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში არსებული სამივე საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლოს საზოგადოების მიერ. კერძოდ, დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, კათედრის სხდომებზე პედაგოგები პერიოდულად განიხილავენ კურიკულუმების მუშაობის ეფექტიანობას, ასევე ცალკეული საგნის მასწავლებლები სწავლის დაწყებამდე მოსწავლეებთან აკეთებენ კურიკულუმის შინაარსის ერთგვარ პრეზენტაციას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026*
- *კათედრის დებულება*
- *საგნობრივი კურიკულუმი;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
- *პედსაბჭოს ოქმები;*
- *კათედრის ოქმები;*
- *ინტერვიუს შედეგები;*
- *ინდ. გეგმები*
- *საგნობრივი პროექტები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მასწავლებლების მიერ გაწერილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ კათედრის წევრები შეიმუშავებენ კურიკულუმებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობებისა და წინა სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით და წარუდგინონ კათედრის ხელმძღვანელს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შექმნილი კურიკულუმები წარმოადგენს დოკუმენტს სადაც სწავლების პროცესი განხილულია როგორც ცოდნის კონსტრუირება. ამასთანავე სწავლება ემყარება

	კომპლექსური/შემოქმედი ტიპის დავალებების შექმნასა და შესრულებას სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, შესაძლებლობები, ინტერესი და საჭიროებები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ინგლისური, გერმანული, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ერთიანობაში ორიენტირებულია მოსწავლის უნარების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ, რაზედაც მეტყველებს ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები. **რჩევა** - (ეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს) საჭიროა კორექციის შეტანა ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში. სასურველია ,დაზუსტდეს თუ რა ქვეცნებებს ამუშავებს პედაგოგი თემის ფარგლებში.მესამე კლასის ხელოვნების კურიკულუმში არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკები.მოკლედ,რჩევის სახით,ზუსტად უნდა იყოს დაცული კორელაცია თემატურ ბლოკს,თემებს,არჩეულ დავალებას შორის. გამოკვეთილად ჩანდეს რა ცნებები და ქვეცნებები მუშავდება კონკრეტული დავალების ფარგლებში.იგივე ეხება ამავე საგნის საბაზო საფეხურის სახვითი ხელოვნების კურიკულუმებს. ასევე ჩემ მიერ ინტერვიუს დროს განსაკუთრებით ხაზი გაესვა საშუალო საფეხურის ხელოვნების კურიკულუმის არარელევანტურობას, პედაგოგმა გაითვალისწინა შენიშვნა და ამის შემდგომ გადმოიგზავნა პროექტის გეგმა და შეფასების რუბრიკა. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები აკმაყოფილებენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. გაწერილია ვალდებულება თუ რა ფორმით აღიწერება მოსწავლის განვითარების გზა, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს. კურიკულუმები, რომლებიც წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევაზე. რითაც შესაძლებელი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეა, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით.ს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. **რჩევა:** საგნობრივ კურიკულუმების თავფურცელი (ქუდი) შეიცავდეს ინფორმაციას საგნობივი კურიკულუმის შესახებ: კურიკულუმის სახელწოდება, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. ***რჩევა:*** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ***რჩევა:*** სასურველია რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის შედგენის დროს მასწავლებლებმა გაითვალისწინონ და გაწერონ თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, განსხვავებული ფორმულირების გარეშე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. დოკუმენტის მიხედვით სწავლების პროცესი და მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა და გააზრება ემყარება ესგ მიხედვით განსაზღვრულ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. ამასთანავე სწავლება დამყარებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითობას, დამუკიდებელი აზროვნებისა და სხვა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მაგრამ კურიკულუმის მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ საშუალო საფეხურზე, ისტორიის მიმართულებით, 11 და 12 კლასების კურიკულუმში გამორჩენილია ცნება წყარო. აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა. **რჩევა:** საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმში, 11 და 12 კლასებში ისტორიის კურიკულუმში აისახოს ცნება წყარო.

	ასევე დაწყებითი საფეხურის ჩვენი საქართველოს კურიკულუმის რევიზიიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა: V-VI კლასების კურიკულუმის შედგენის დროს რეგიონალურ თემატურ ერთეულებში ჩამოწერილი შინაარსობრივი საკითხები გაერთიანდეს და დაჯგუფდეს ქვეთემებად ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებას და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ. კურიკულუმი ქმნის პირობებს სასწავლო შედეგების მიღწევისა და მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვუითი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანეთთან.

	საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, ხოლო მოსწავლეებში ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიზის უნარების განვითარების ხელშეწყობას. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და გამოხატეს მზაობა კურიკულუმები მიმართული იყოს ესგ-ით განსაზღრული მიზნებისაკენ და სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. **რჩევა:** კურიკულუმის შემუშავებისას გაწერილი იყოს მათემტიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ჩანს, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ

	მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. ბუნებისმეტყველების მე-2 და მე-4 კლასების კურიკულუმში არასწორადაა წარმოდგენილი თემები. სავალდებულო თემები და საკითხებია არეული. **რჩევა:** სასწავლო თემები დააზუსტონ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და დამატებით მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს, სიმულაციურ ლაბორატორიებს და ა.შ. ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არ არსებობს რეალური ლაბორატორიული ცდების განხორციელების პრაქტიკა რესურსების არ არსებობის გამო. ***რჩევა:*** სასურველია, სკოლაში ლაბორატორიული რესურსებით მომარაგების შემდეგ, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (ბუნებისმეტყველება) და საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში გაწერილი იყოს სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდები საჭირო რესურსებით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს სწავლა სწავლების პროცესს და მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. ამასთანავე შემაჯამებელი ტესტის დავალებებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა **რჩევა**, რომ დავალებებში შინაარსობრივი ნაწილის შემოწმება ცნებათა გააზრების კონტექსტში იყოს წარმოდგენილი. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს; ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.განსაზღვრავენ შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობას კლასების მიხედვით და განიხილავენ დიაგნოსტირების ფორმას. ადგენენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, გეგმავენ პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს, პროფესიული ზრდისთვის ღონისძიებებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში სასწავლო რესურსად განსაზღვრულია სახელმძღვანელოები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). ასევე მოცემულია სხვადასხვა მოწყობილობებით ანიმაციური, აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

მათემატიკა	კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტში წამოდგენილია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, როგორიცაა ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ასევე სხვადასხვა სასწავლო ელექტონული რესურსი, პედაგოგებმაც გასაუბრების დროსაც აღნიშნეს რომ გამოყენებულ ძირითად სახელმძღვანელოსთან ერთად იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევის მიზნით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით , საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა,) განვითარებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, დავალებების ნიმუშები, სასარგებლო ბმულები, პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. თუმცა, უმეტეს წილად, მხოლოდ სახელმძღვანელოა. **რჩევა:** კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური. გათვალისწინებულია მოსწავლეთა უნარები, კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა, დიფერენცირებული მიდგომები. სკოლაში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები მუშაობენ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებით. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა და შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ***რჩევა:*** სასურველია დიფერენცირებული მიდგომები აისახოს კომპლექსური დავალების ფორმებში და შეფასების რუბრიკებში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და აძლევს საშუალებას ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების საშუალებით ადგენენ

	მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართავენ სათანადო ინტერვეციებს. კათედრაზე განხორციელებული პროექტები, ასევე კათედრაზე არსებული კლუბი "ერუდიტი" ეხმარება მოსწავლეებს სხვადასხვა დავალებებისა და აქტივობების შესრულების დროს ეფექტურად გადალახონ ენაში არსებული ბარიერები და შეძლონ თავისუფალი მეტყველება სხვადასხვა თემებზე. კათედრაზე მოქმედებს რემედიაციის პროგრამა. კათედრას აქვს ინდივიდუალური გემით სწავლების პრაქტიკა. კათედრა ახალისებს მოსწავლეთა ჩართულობას ოლიმპიადებსა და კონკურსებში. მასწავლებლები ესწრებიან სასწავლო ტრენიგებს (ბრიტანული საბჭოს მიერ შემოთავაზებული მოდულები ინგლისური ენის სწავლების მეთოდებზე, მიდგომებზე, საკლასო აქტივობებზე) და მიღებულ ცოდნას იყენებენ სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ინკლუზიურია და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლაში, ყველა კლასში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები და ამ მასალის ანალიზის საფუძველზე იქმნება კურიკულუმები. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიადუალური სასწავლო გეგმა. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ აქვს სსს მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. მათ დაადასტურეს რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და სასწავლო პროცესს ამ საჭიროებებზე მორგებულად გეგმავენ და ახორციელებენ. დავალებებს მოდიფიცირებას უკეთებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით.

	ახდენენ მოსწავლეთა შემოწმება , შეფასებას, აძლევენ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს. აქტიურად თანამშრომლობენ სპეცმასწავლებელთან და ერთობლივად იმუშავებენ ისგ-ას, შეფასების რუბრიკებს. სასწავლო პროცესს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით წარვმართავთ დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და რესურსებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლების მიერ მოსწავლის შეფასებისთვის წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის. ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა საპრეზენტაციო უნარებს და მოსწავლის მიერ საკითხის გააზრებას სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა მრავალფეროვანია და მიმართულია მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. შეფასების ორივე ფორმა - განმსაზღვრელი/განმავითარებელი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებზე და წარმოადგენს სწავლების განუყოფელ ნაწილს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში,ხოლო განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილადაა მოაზრებული, რომლის მეშვეობითაც მოსწავლესთან ეფექტური უკუკავშირი მყარდება, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასებაც, ასევე განმავითარებელი შეფასებისას ეყრდნობიან საკმაოდ კონსტრუქტიულ პრინციპებს. ინდიკატორი შეესაბამება.

	რჩევა: სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის (დაწყებითი) ცნებებსა და ქვეცნებებზე. ეხება მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ბარათები მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას, რომ შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი პროცესი. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც შეფასების რუბრიკების შემუსავებისას დაეყრდნობიან ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგებზე დაყრდნობით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც

	ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2025-2026;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*

- *შეფასება (განმსაზღვრელი, განმავითარებელი);*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *კვლევა-საგნობრივი კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა-(აჭყვისთავი. მ.ჯინჭარაძე)-2025-2026;*
- *ვერიფიკაცია საგნობრივი მასალები დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური;*
- *განხორციელებული პროექტები;*
- *მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *წარმატების სიგელები;*
- *შემოქმედებითი დავალების ნიმუში;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;*
- *დამატებითი სასწავლო მატერიალური და ელექტრონული რესურსების ნუსხა;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *კათედრის პორტფოლიო;*
- *სერტიფიკატები;*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი;*
- *შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ჩართოს მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში. კათედრაზე არსებობს ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. უნდა აღინიშნოს ქიმიის მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების მრავალფეროვნება. ასევე, არსებობს მზაობა მოსწავლეთა მომზადების ეროვნულ და კერძო ოლიმპიადებისთვის. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებითი აქტივობები, როგორიცაა ინტეგრირებული პროექტები და რეალური ექსპერიმენტების ჩატარება. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სკოლის მიერ დაგეგმილ და შემუშავებულ კურიკულუმს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა, რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი(ძირითადი და დამატებითი სახელმძრვანელოები, ლიტერატურა; ელ.რესურსი) ,მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა; მოსწავლეთა რემედიაციის პროგრამა. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესს ვახორციელებთ სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების ორიენტირით, რაც დასტურდება სკოლის მიერრ წარმოდგენილი მასალებით. კათედრის წევრებმა საუბრისას გამოხატეს კიდეც მზაობა მომავალში სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად წარმართონ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. პედაგოგები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვის სხვადასხვა ფორმით, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა. საბუნებისმეტყველო საგნებში არჩეული აქვთ შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის მიერ შემოთავაზებული შედეგებსა და მათ შესაბამის ინდიკატორებთან.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენის დროს, გათვალისწინებულ იქნას შეფასების კრიტერიუმების მკაფიო ფორმულირება დავალებასთან მიმართებაში, რაც გააძლიერებს შეფასების ობიექტურობას და გამჭვირვალობას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა წარმოადგენს რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. ამასთანავე შეფასება ემყარება გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს თუმცა სკოლას განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით მიეცა **რჩევები**: მოსწავლის ნაშრომის ანალიზის დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს არა მარტო მისაღწევი შედეგები, არამედ მოსწავლის მიერ დაძლეული და დასაძლევი შედეგები მიღწეული შედეგის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებს რეკომენდაციის სახით ურჩიონ ისეთი კონკრეტული აქტივობების შესრულება, რომლითაც უკეთ გაიაზრებენ ხარვეზებს/ ვერ შესრულებულ შედეგებს და შესძლებენ მათ გამოსწორებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი. დიაგნოსტიკური წერის ანალიზი; რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე

	განმავითარებელი შეფასების. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომლის შემუშავება დაფუძნებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებზე, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, იგივე დასტურდება კათედრის წევრების მიერ გასაუბრების დროს და განმტკიცებულია წარმოდგენილი რუბრიკებით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით.***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანია სკოლაში შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის შემოწმება და დადასტურება. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება სწავლების ყველა საფეხურზე და მიზნად ისახავს შიდა შეფასების ჩატარებას, მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმთან. შერჩეულია ვერიფიკაციის მეთოდები, დეტალურად არის აღწერილი ამ პროცესის ეტაპები და დასახელებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლები. ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები: შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს: 1. კათედრის ხელმძღვანელები (როტაციის პრინციპით) და 2. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისია). სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროცესის მტკიცებულება პირველ სემესტრში შემაჯამებელ სამუშაოზე განხორციელებული განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაციის ანგარიშის სახით.

ინდიკატორი 2.2.1.4. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში, დირექტორის მოადგილის კაბინეტში, ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. ადგილზე ვიზიტმა აჩვენა და ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

ინდიკატორი 2.2.1.5 . ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი) 2025-2026;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ვერიფიკაციის-დებულება, ვერიფიკაცია დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური;*
- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები-5-6 კლასები;*
- *დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასება-1-4 კლასები;*
- *საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები;*
- *საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები;*
- *შემოქმედებითი დავალება;*
- *დაწყ.კლ შემოქმედებითი დავალება და შეფასების რუბრიკები;*
- *განხორციელებული პროექტები;*
- *მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა;*
- *დამატებითი სასწავლო მატერიალური და ელექტრონული რესურსების ნუსხა;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
- *კათედრის პორტფოლიო;*
- *სერტიფიკატები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შერჩეულია მასწავლებლების მიერ, რესურსები გაზიარებულია კათედრის წევრებს შორის. სამივე საფეხურზე ძირითადი რესურსის სახით გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები – ტელესკოლის გაკვეთილები, საინტერესო ინტერნეტ–რესურსები მოწოდებულია ლინკის სახით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები აქტიურად გამოიყენება სკოლაში და ხელს უწყობს ესგ ში გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების დაძლევას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს, რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი, დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. აღნიშნული რესურსები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია თითოეული თემის დამუშავების ფარგლებში სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვნელოები, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი, სწავლების დროს იყენებენ იყენებენ სხვადასხვას საგანმანთლებლო პლატფორმებსაც რაც დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, სადაც ასევე გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. **რჩევა:** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები ტექნოლოგიებში, თუმცა მოსწავლეებში გამჭოლი და ინტერდისციპლინარული უნარების განსავითარებლად სასურველი იქნება სკოლაში ფუნქციონირებდეს STEAM კლუბი, რაც რჩევის სახით ეცნობა სკოლას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნვალყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **რჩევა:** კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ საკითხის შესაბამისად. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ოქმით დასტურდება კათედრის წევრებს შორის დამხმარე რესურსების განხილვისა და ვალიდაციის ფაქტი, იმსჯელეს ვალიდაციის სქემაზე და თითოეულმა მასწავლებელმა კათედრაზე განხილული კრიტერიუმების მეშვეობით განახორციელოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება, რომ გამოყენებული რესურსები განხილული, შეთანხმებული და დადასტურებულია კათედრის წევრების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე, რამდენადაა ეს თუ ის რესურსი ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნების შესაბამისი, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. ზემოთქმული კი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადგან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში.რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო რესურსებით, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული რესურსების სახით. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, გამოიკვეთა რომ ძირითადი სასწავლო რესურსი არის სახელმძღვანელოები და ხელმისაწვდომი სასწავლო ელექტრონული რესურსები (ტელესკოლა, სხვადასხვა სიმულაციური ექსპერიმენტები). სკოლას ამჟამად აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის გამოყოფილი სივრცე, რომლის აღჭურვაც გაწერილი ჰქონდათ შესაბამისობის გეგმაში (საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ხარვეზი აღწერილია 3.5.1.1. ინდიკატორში).

	რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის ლაბორატორიული რესურსი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისთვის, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (სულ 200 მოსწავლე). წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლაში ვიზიტით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის მხოლოდ ფართი ინვენტარის გარეშე. თუმცა, სკოლას აქვს წერილობითი მიმართვა შესაბამის სტრუქტურებთან, ლაბორატორიის შესაძენად თანხების გამოყოფაზე. გათვალისწინებულია, რომ სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი და არ გააჩნია ფინანსური სახსრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაძენად. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს სწავლისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლას ესაჭიროება შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსი, ვინაიდან მუსიკის სწავლების დროს აქტიურად გამოიყენება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). **რჩევა:** სასურველია, მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართოს ვიდეო და აუდიო მასალები, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა

	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით ჰყავს 22 მასწავლებელი, დირექტორი; დირექტორის მოადგილე; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი; ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი; დარაჯი; ბიბლიოთეკარი; ექთანი; დამლაგებელი-2. უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად 2 სსსმ მოსწავლისა სკოლას იანვრის თვიდან არ ყავს სპეციალური მასწავლებელი. დირექტორთან გასაუბრების და teachers.jobs.ge -ს შესწავლით ჩანს რომ სკოლას ორჯერ, იანვრის და თებერვლის თვეში, ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია აღნიშნულ კადრზე.
სკოლაში მუშაობს - 3 წამყვანი, 18 უფროსი და 1 მაძიებელი მასწავლებელი. სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, სკოლის წარმომადგენელი. შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

ინდიკტორი 2.2.1.5 . ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმები;*
- *განხორციელებული პროექტები;*
- *მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;*
- *შემოქმი დავალებების ბარათები;*
- *განხორციელებული კომპლექსური დავალებები;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*

- *კათედრის სამოქმედო გეგმა 2025-2026 წელი;*
- *სასწავლო რესურსების ჩამონათვალი;*
- *კათედრის ოქმი N1-2025-2026;*
- *კათედრის დებულება;*
- *დანართი N2-გრიფირებული სახელმძღვანელოები;*
- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *კომპიუტერული ლაბორატორიის აღწერა.*
- *კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;*
- *განხორციელებული პროექტების ბმულები;*
- *კათედრის ოქმი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ კათედრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.

გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კონკრეტულად, კათდრაზე ერთად შეიმუშავებენ ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების გეგმასა და ინსტრუმენტებს, ამზადებენ რეკომენდაციებს და გამოვლენილ პრობლემაზე ორიენტირებულად გეგმავენ მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობებს.

ინდიკატორი 2.2.1.5 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურა იყენებს ურთიერთდასწრებას, კათედრები აანალიზებენ სემესტრულ და წლიურ მიღწევებს, ახდენენ განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების რევიზიას პრობლემის გამოკვეთაზე ორიენტირებულად, ერთობლივი მსჯელობით და თანამშრომლობით იკვლევენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნულის მტკიცებულებაა წარმოდგენილი დოკუმენტები და რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში, იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.2.1.5 . ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია „ხარისხის ჯგუფი", რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მასწავლებლები, მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე, თავად ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება მათ ასახონ გაუმჯობესების გზები გადაჭრან გამოკვეთილი პრობლემები.

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი.

ინდიკატორი 2.2.1.5 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *კურიკულუმის ანალიზი;*
- *კათედრის ოქმები და ანგარიშები;*
- *კვლევა-საგნობრივი კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა-(აჭყვისთავი. მ.ჯინჭარაძე)-2025-2026;*
- *ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *თვითშეფასების ამსახველი დოკუმენტები*
- *მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები*

- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზი*
- *ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური-სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, პროექტები და წრეობრივი/კლუბური მუშაობები. ამ აქტივობებიდან მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა მრავალმხრივად შეფასდეს და გამოიკვეთოს მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.

ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

.

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, შესასწავლი საკითხი/ თემა, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავალფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი, რაც შეფასებას მოსწავლეზე ორინტირებულს და ვალიდურს ხდის.

ინდიკატორი 2.3.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა.

ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების შეფასებას. კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე: სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მშობლებთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4. ***შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები;*
- *შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;*
- *კათედრის ოქმები;*
- *შეფასების სისტემის ვერფიკაციის მექანზმი;*
- *საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია - მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებს / აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი ტიპის დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საგნობრივი კათედრის ოქმები;*
- *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მასალები;*
- *მასწავლებელთა თვითშეფასების მასალები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 04.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

/დავით ჩივაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



/თამთა დარსაველიძე/

/ეკატერინე მიქაუტაძე/

/ ნიკოლოზ გურგენიძე/

/ხათუნა ფანცულაია/

/ეკა ბარნაბიშვილი/

/გიორგი ჩაჩუა/

/ირმა ხუნდაძე/

/მაია ჩაჩხიანი/

/ალექსანდრე ლაცაბიძე/

/ვერა სომხიშვილი/